ავტობიოგრაფია

ლიელა ფოლადიშვილი

წარმოგიდგენთ ავტობიოგრაფიას, რომელიც ასახავს ჩემი პროფესიული კარიერის ძირითად მიღწევებს.

დავიბადე ქალაქ თბილისში, 1986 წლის 2 დეკემბერს. 2004 წელს დავასრულე ქალაქ ბოლნისის №3 საშუალო სკოლა. 2004 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2011 წელს და მომენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სწავლის პარალელურად, მონაწილეობა მივიღე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ სტაჟირების კონკურსში, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგაც, 2007-2010 წლებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დავსაქმდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მარნეულის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. 2011 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით და საადვოკატო უნარების შესწავლის მიზნით 2011 წლის 07 სექტემბრიდან 2012 წლის 07 მარტამდე გავიარე სტაჟირება „ნინო მახარაძის საადვოკატო ბიუროში" ადვოკატის სტაჟიორად. სტაჟირების დასრულებისთანავე, გავიარე პრაქტიკა თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2012 წლის 19 ივნისიდან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დავიწყე მუშაობა ამავე სასამართლოში შტატგარეშე სპეციალისტად. 2013 წლის ივნისიდან 2013 წლის აგვისტოს ჩათვლით დავინიშე თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად. 2013 წლის სექტემრიდან 2014 წლის თებერვლამდე ვასრულებდი ამავე სასამართლოს აპარატის კანცელარიის (განყოფილების) სპეციალისტის მოვალეობას. 2014 წლის თებერვილდან კონკურსის წესით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოში აპარატის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივნის თანამდებობაზე, რის შემდეგაც დავწინაურდი მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე, სადაც ვიმუშავე 2017 წლის 23 იანვრამდე. 2017 წლის 23 იანვრიდან პროფესიული საქმიანობა გავაგრძელე თბილისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში, მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე, ხოლო 2017 წლის 01 ივლისიდან ამავე სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. დასახელებულ თანამდებობაზე ვიმუშავე სსიპ იუსტიციის უმაღლეს

სკოლაში მსმენელად ჩარიცხვამდე (2019 წლის 02 დეკემბრამდე). თბილისის სააპელაციო სასამართლოში მუშაობის პარალელურად, ჩავაბარე საერთო სამაგისტრო გამოცდები და 2017 წელს ჩავირიცხე სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე. სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის 2019 წლის 7 აგვისტოს №1 გადაწყვეტილებით მომენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2019 წლის თებერვალში ასევე წარმატებით ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში, რის შემდეგაც მონაწილეობა მივიღე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შესარჩევ კონკურსში. კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ, ჩავირიცხე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელად. სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ათთვიანი (2019 წლის 02 დეკემბრიდან 2020 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით) სწავლის პერიოდში წარმატებით გავიარე როგორც თეორიული კურსი, ასევე პრაქტიკული სწავლება და ჩავაბარე დამამთავრებელი გამოცდა.

გარდა ზემოთ ჩემოთვლილი სამუშაო გამოცდილებისა, აკადემიური და პროფესიული მიღწევებისა, მსურს ასევე მოკლედ მოგახსენოთ ჩემი პროფესიული აქტივობების შესახებ:

- 2013 წელს სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე ტრენინგი „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია";
- 2014 წელს ააიპ „სამართლის დარგებში და ფსიქო-სოციალურ აღზრდაში ცოდნის გაღრმავების მარიამ ცისკაძის ცენტრში" გავიარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი 120-საათიანი კურსი;
- 2016 წელს მონაწილეობა მივიღე სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ სემინარში „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი გამოყენება";
- 2017 წელს მივიღე მონაწილეობა საინფორმაციო შეხვედრაში - „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის სიახლეები;
- 2018 წელს გავიარე ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები";
- 2018 წელს მივიღე მონაწილეობა სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინში - „ნორმის განმარტება";
- 2018 წელს მონაწილეობა მივიღე USAID-ის, PROLOG -ის, human dynamics-ს და „ევროკავშირი საქართველოსთვის" მხარდაჭერით ორგანიზებულ სასწავლო პროგრამაში და მენტორინგში - „ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში";
- 2018 წელს ვიყავი EU4Justice-ის, USAID-ის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის,

UNDP-ის COUNCIL OF EUROPE-ის, human dynamices-ის მხარდაჭერით ორგანიზებული მართლმსაჯულების ზაფხულის სკოლის პროგრამის მონაწილე;

- 2019 წელს გავიარე სემინარი - „გადაწყვეტილების შედგენა და დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში“.

ლიელა ფოლადიშვილი

25.10.2020 წელი